სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/82 25-10- 2017 წ.

შევიდეს ცვლილება რექტორის ბრძანება № 01-04/80 17.10. 2017 წ. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის ბრძანება № 01-04/80 17.10. 2017 წ. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულად წარმართვის შესახებ და ბრძანება დამტკიცდეს შემდეგი ფორმულირებით:
2. შეიქმნას საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - **შალვა კირთაძე** – რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე)
   - **ირმა გრძელიძე** – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
   - **იმერი ბასილაძე** – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
   - **ლუკა დვალიშვილი** – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **აკაკი ბაკურაძე** – ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **დავით ლეკვეიშვილი** – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
   - **ვლადიმერ ადეიშვილი** – პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი
   - **ირინა ფხაკაძე** – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
   - **ფრიდონ გოგიაშვილი** – საინჟინრო – ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი
   - **მაია გრძელიძე** - საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
   - **ქეთევან კინწურაშვილი** – აგრარული ფაკულტეტის დეკანი
   - **ამირან ბრგვაძე** - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი
3. ფაკულტეტების დეკანატებმა მოახდინონ სტუდენტთა ინფორმირება გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების დროული გამოცხადება საგამოცდო აუდიტორიებში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით;

4. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ უწყისების მიწოდებასთან დაკავშირებით (დეკანატი–საგამოცდო კომისია–სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა – დეკანატი) პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და საგამოცდო სექტორს მიაწოდონ უწყისები ელექტრონული სახით გამოცდის ჩატარებამდე 2 დღით ადრე, რომლებშიც არ იქნება არცერთი გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე სტუდენტი.
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანის მოადგილეებს უზრუნველყონ ცალკეული დისციპლინების მიხედვით, წინასწარ დადგენილი ელექტრონული ფორმით, ყოველგვარი შესწორებების გარეშე, საგამოცდო დავალების შედგენისათვის საჭირო მასალების, არა ფაკულტეტის სპეციალისტების მიერ, არამედ პირადად გადაგზავნა-წარდგენა საგამოცდო სექტორში ელექტრონულ მისამართზე **sagamocdo.seqtori@atsu.edu.ge** **საკუთარი კორპორაციული ფოსტის გამოყენებით არაუგვიანეს ორი კვირისა გამოცდის** დაწყებამდე და აქტიურად ჩაერთონ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაში.
6. დაევალოს საგამოცდო სექტორს ელექტრონულად მიწოდებული საგამოცდო მასალების დადგენილ ფორმასთან შესაბამისობის შემოწმება და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მასალა დაუბრუნდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. ხარვეზი აღმოიფხვრას ორ დღეში და ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ან განმეორებით მოუმზადებელი მასალების მოწოდებისას საგამოცდო სექტორმა ინფორმაცია მიაწოდოს რექტორის მოადგილეს შემდგომი რეაგირებისათვის.
7. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ საგამოცდო დავალების ფორმირებისათვის საჭირო მასალების წარმოდგენა არაუგვიანეს სამი კვირისა გამოცდის დაწყებამდე ფაკულტეტის ადმინისტრაციაში ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელშიც შინაარსობრივი ცვლილების განხორციელება დასაშვებია, მხოლოდ რექტორის მოადგილის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში.
8. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ შესაბამისი საგნის პედაგოგის ან მათი ნდობით აღჭურვილი დეპარტამენტის წარმომადგენლის ყოფნა გამოცდის მსვლელობის დროს.
9. დამტკიცდეს საგამოცდო ბილეთის ფორმირებისათვის საჭირო მასალის წარმოდგენის თანდართული ფორმა, რომლის შედგენა უნდა მოხდეს Sylfaen შრიფტით, ზომა 12 (იხ. დანართი №1).
10. საგამოცდო საკითხების მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში საგამოცდო სექტორი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ფაკულტეტის დეკანატს და რექტორის მოადგილეს, რომლის წერილობითი ნებართვის გარეშე საგამოცდო საკითხები არ დამუშავდება;
11. მიეცეთ უფლება ენათა ცენტრის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედური გამოკითხვა ჩაატარონ ზეპირი (ან სხვა) ფორმით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ.
12. საგამოცდო პროცესის ორგანიზაციული (გამოცდების გრაფიკის შედგენა და ბრძანების მომზადება, მათ შორის იმ გამოცდების, რომელიც კომპიუტერთან და დამატებით (minor) პროგრამაზე ტარდება) და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყონ აწსუ საგამოცდო სექტორის ხელმძღვანელმა – ლალი ზივზივაძემ და იმავე სექტორის სპეციალისტმა – დავით ხუსკივაძემ.

13. გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარიმართოს №1128 აუდიტორიაში, რომლის სათანადოდ მოწყობა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს (პასუხისმგებელი პირი მ. საღინაძე).
14. შუალედური გამოცდები ჩატარდეს 04.11. 2017- 12.11.2017 პერიოდში. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 20.11.2017-ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 25.11.2017-ის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 30.11.2017 -ის ჩათვლით.
15. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ფაკულტეტზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო და დამატებით (minor) პროგრამებზე (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამონაკლისი დაიშვას ენათა ცენტრის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისათვის და შუალედური გამოცდა ჩატარდეს ზეპირი ფორმით) შუალედური გამოცდების წერითი ფორმით ჩატარება და გამოცდების განრიგის შეთანხმება უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-11 და მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.
16. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 15.01.2018-4.02.2018 პერიოდში. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 11.02. 2018 -ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება და განხილვა განხორციელდეს 12.02.2018- 18.02.2018 პერიოდში.
17. დასკვნითი გამოცდების ჩატარება საგამოცდო სექტორმა დამატებით (minor) პროგრამებზე წერითი ფორმით ჩატარება უზრუნველყოს ამ ბრძანების მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.
18. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ფაკულტეტზე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი გამოცდების წერითი ფორმით ჩატარება უზრუნველყონ ამ ბრძანების მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.
19. საშემოდგომო სემესტრის გამოცდების სალიკვიდაციო პერიოდი განხორციელდეს 18.02.2018 – 26.02.2018 პერიოდში
20. უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის საშემოდგომო სემესტრის გამოცდები დაიგეგმოს ამ ბრძანების მე-13, მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული ვადებიდან ორი კვირის შემდეგ.
21. სტუდენტის მიერ გამოცდაზე გამოუცხადებლობა ან ლექციის გაცდენა საპატიოდ ჩაითვალოს მხოლოდ შემდეგ შეთხვევაში:
    ა. უნივერსიტეტის ინტერესი
    ბ. შვილის შეძენა
    გ. ავადმყოფობა
    დ. უბედური შემთხვევა
    ე. ოჯახის წევრის გარდაცვალება
    ვ. განსაკუთრებული შემთხვევა (განიხილება რექტორის სათათბირო ორგანოს მიერ რექტორის მოადგილის წარდგინებით);

მიზეზი საპატიოდ ჩაითვალოს, თუკი სტუდენტი, ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი ფორმით წარმოადგენს დეკანატში ახსნა-

განმარტებას/განცხადებას შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტთან (დამტკიცებული შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით) ერთად.

გაცდენის საპატიოდ ჩათვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სათანადო პროცედურას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.

22. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა ე. ცირეკიძემ უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.
23. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.
24. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი: ასოც. პროფ. შ. კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: იმერი ბასილაძე

ფაკულტეტი	
დეპარტამენტი	
სპეციალობა	
სასწავლო წელი	
საგანი	
პედაგოგი	
გამოცდის სახე	
სემესტრი	

დანართი 1

	შეკითხვის, დავალების, საკითხის ან ტესტის შინაარსი	ტესტის შემთხვევაში ჩაწერეთ წერტილით გამოყოფილი პასუხები	საჭირო სურათი ან ნახაზი (Inline თვისების მქონე)	პასუხისათვის საჭირო სტრიქონების რაოდენობა	1, 2, 3, . . .
1.					
2.					
3.					
4.					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					

17					
18					
19					
20					

შენიშვნა საკითხების ცხრილის ბოლო სვეტი ივსება შემდეგნაირად საკითხს მიეწერება 1,2,3, . . . რიცხვები. რაც ნიშნავს, რომ იქმნება შესწავლილი თემების პირობითი ჯგუფები. ბილეთის ფორმირებისას პედაგოგს შეუძლია შეარჩიოს ბილეთში შემავალი საკითხების რაოდენობა და გაანაწილოს იგი სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. იხილეთ მესამე ცხრილის განმარტება.

1	2	3

შენიშვნა ცხრილის პირველი სტრიქონი ნიშნავს, რომ მაგალითად, საგამოცდო საკითხებში პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. ჯგუფის ან სირთულის დავალებებია. ცხრილის მეორე სტრიქონი ნიშნავს, რომ პირველი ჯგუფიდან (სირთულიდან) ბილეთში შევა 1, მეორე ჯგუფიდან 3 და მესამედან 3 საკითხი (დავალება, ტესტი) და ა. შ.

ფაკულტეტის დეკანი :
დეპარტამენტის კოორდინატორი:
საგნის პედაგოგი:

საქართველო
GEORGIA
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

4600, საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ.: (+995 431) 24 57 84; (+995 431 24 38 33)
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., 4600 Kutaisi, Georgia
Tel.: (+995 431) 24 57 84; (+995 431 24 38 33)
E-mail: atsu@atsu.edu.ge

MES 5 17 01291168

20/10/2017

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს პროფ. გიორგი ღავთაძეს

გერმანული ფილოლოგიის დეპარტმანტის ხელმძღვანელის
ასოც. პროფ. რამაზ სვანიძის

სამსახურეობრივი ბარათი

2017 წლის 17 ოქტომბრის N01-04/79 ბრძანება არეგულირებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის წარმართვას. აღნიშნული ბრძანების მუხლი 10 აძლევს ენათა ცენტრის პროფესორ-მასწავლებლებს უფლებას, შუალედური გამოკითხვა ჩაატარონ ზეპირი ფორმით. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის აზრით, ანალოგიური მოდელით უნდა განხორციელდეს საგამოცდო პროცესი როგორც საბაკალავრო (მეიჯორ და მაინორ), ასევე სამაგისტრო პროგრამაზე საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა მოითხოვს როგორც წერითი, ასევე ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების დახვეწა-განვითარებას. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსებში საბოლოო ქულის გამოყვანისათვის მიზანშეწონილია შემდეგი გადანაწილება: 60% ზეპირი და 40% წერილობი თი ფორმით.

გერმანული ენისა და ლიტერატურის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დამატებით (minor)საგანმანათლებლო პ როგრამებში სილაბუსებში შუალედური შეფასების ფორმად დაფიქსირებულია ზეპირი შეფასება და პროგრამები ამ ფორ მითაა დამტკიცებული. საგამოცდო პროცესი გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრა მებში რამდენიმე წელია ამ სახით მიმდინარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება N01-04/79 ბრძანებაში, რათა გერმანული ენი ს საბაკალავრო (მეიჯორ და მაინორ) და სამაგისტრო პროგრამებში შუალედური გამოკითხვა ჩატარდეს ზეპირი (ან სხვა) ფორმით საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო , სსიპ
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი
სვანიძე რამაზ

რ. სვანიძე